3. შესყიდვის ობიექტი და ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 **შესყიდვის ობიექტია:** საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
3.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **31000 (ოცდათერთმეტი ათასი)** ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ თანამედროვე სტანდარტებს,
4.2 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია.
4.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულებების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.
4.4 მიმწოდებელს, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:
- მომსახურების დაწყება 2011 წლის 25 მარტი.
- მომსახურების დამთავრება - 2011 წლის 26 აპრილის ჩათვლით.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თვითმმართველი ქალაქ ფოთი.
5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი, 3 ეგზემპლარი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ელექტრონული ვერსია) და ანგარიშფაქტურის წარდგენა შემსყიდველის უფლებამოსილი პირის თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების ეტაპობრივი მიწოდებისა და მიმდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველის უფლებამოსილი პირს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.2 შემსყიდველის უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების შესრულების პროცესში წუნის აღმოჩენის შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2011 წლის 25 მარტიდან 2011 წლის 26 აპრილის ჩათვლით;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე და სრულ ანგარიშსწორებამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება

ეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო ოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესასყიდი მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.
14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში.

. ...ულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ...ზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	შპს „სპექტრი"-ს დირექტორი
კობა ცხადაია	სერგო ჯაბუა
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№-12 სს „ლიბერთი ბანკი" ფოთის ფილიალი	მის: ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ბარნოვის ქუჩა №73/16 სს „ლიბერთი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE 94LB0120125805505000 ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 215138143	ა/ა 36057853, ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 204957305

საკონკურსო წინადადება

თარიღი: 21 მარტი 2011 წელი

ვის: თვითმმართველი ქალაქი ფოთი (თვითმმართველი ერთეული)

ვისგან: შ.პ.ს. "სპექტრი"

გავეცანით რა საკონკურსო დოკუმენტაციას, თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ თვითმმართველი ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და გთავაზობთ ზემოაღნიშნული მომსახურების შესრულებას შემდეგ ფასად - 31000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარი დღგ-სა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ თვითმმართველი ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ "ხელშეკრულება") ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება საბანკო გარანტია შემდეგ თანხაზე: 620 (ექვსასოცი) ლარი.

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია 30 სამუშაო დღის

8/03/333

31 03 11

განმაცხადებელი, დაწყებული შემდეგი თარიღიდან: 2011 წლის 21 მარტი.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმის ფარგლებში.

საკონკურსო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1. ამონაწერი საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან – 2 (ორი) ფურცელი –**კონვერტი №1**
2. ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ არსებობის შესახებ – 2 (ორი) ფურცელი - **კონვერტი №1**
3. საკონკურსო წინადადების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი – 1 (ერთი) გვერდი - **კონვერტი №1**
4. კონკურსანტის რეკვიზიტები – 1 (ერთი) ფურცელი - **კონვერტი №1**
5. კეთილმოწყობის გეგმები – A3 ფორმატზე ბეჭდური ვერსია – 21 (ოცდაერთი) ფურცელი, და ელექტრონული ვერსია – **CD-R** დისკზე – 20 ცალი - **კონვერტი №2**
6. განმარტებითი ბარათი და ხარჯთაღრიცხვის საორიენტაციო ღირებულება ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოთა თითოეულ პოზიციაზე ცხრილი №12.1 – 5 (ხუთი) ფურცელი - **კონვერტი №2**
7. უკანასკნელი ორი წლის (2009-2010 წელი) განმავლობაში შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ჩამონათვალი – 4 (ოთხი) ფურცელი - **კონვერტი №1**
8. უკანასკნელი ორი წლის (2009-2010 წელი) განმავლობაში შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი) ქსეროასლები - 79 (სამოცდათვრამეტი) ფურცელი - **კონვერტი №1**

შ.პ.ს. "სპექტრი"-ს დირექტორი _____ სერგო ჯაბუა

კონკურსანტის რეკვიზიტები:

1. დასახელება: შ.პ.ს. "სპექტრი"

2. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბარნოვის ქუჩა №73, ბინა №16

3. საიდენტიფიკაციო კოდი: 204957305

4. მომსახურე ბანკის დასახელება: ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ცენტრალური ფილიალი

5. ანგარიშის № 36057853

6. ბანკის კოდი: 220101480

7. ელ.ფოსტა: speqtri@hotmail.com

8. საკონტაქტო ტელეფონი: 899 22 97 97

შ.პ.ს. "სპექტრის" დირექტორი: სერგო ჯაბუა

თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N 1

(საპროექტო მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქ ფოთი 21 მარტი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის მოადგილე დათო ხომერიკი -სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ირაკლი ნაჭყებია-კომისიის წევრი;
3. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის თანაშემწე ბერდია ბუსქანძე-კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

1. ქ. ფოთში აკაკის ქ. N108-ში; N110-ში; N110ა-ში, ჭყონდიდელის ქ. N14-ში; N16-ში და ქორქიას ქ. N34-ში, ბერდიანსკის ქ. N30-ში, პუშკინის ქ. N72-ში, დანელის ქ. N69-ში, 9 აპრილის ქ. N17 და N19-ში, 9 აპრილის ქ. N23-ში; N25-ში; N27-ში, მიქაბერიძის ქ. N1-ში, ლიეპაიას ქ. N8-ში, მიქაბერიძის ქ. N6; N4-ში, 9აპრილის ქ. N29-ში; N31-ში; N33-ში, 9 აპრილის ქ. N18-ში, N20-ში, გეგიძის ქ. N5-ში; N7-ში, 9 აპრილის ქ. N28-ში; N30-ში, გეგიძის ქ. N15-ში, ჭავაჭავაძის ქ. N138-ში; N140-შ; N142-ში; N144-ში; N148-ში; N150-ში; N152-ში; N156-ში N158-ში, ელადას ქ. N8-ში; N8ა-ში, სევასტოპოლის (ყოფილი ლენინგრადის) ქ. N2-ში, N4-ში; N6-ში, სამეგრელოს ქუჩიდან ელადას ქუჩამდე N26-ში და N28-ში, გელა ჯიქიას (ყოფილი სარსანიას მე-2 ჩიხი) ქ. N7-ში და N9-ში, შავი ზღვის ქ. N2-ში, სარსანიას ქ. N34-ში; N36-ში, რუსთაველის რკალი N12-ში, ბარათაშვილის ქ. N25-ში; ზამბახიძის ქ. N26-ში; N28-ში, გამსახურდიას ქ. N16-ში, კოსტავას ქ. N4-ში; N6-ში; N8-ში, მალთაყვის მასივში (გურიის ქ. N177-ში; N179-ში; N181-ში, N187-ში; N189-ში, გურიის ქ. N59-ში,მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის (შემდგომში ტექსტში საპროექტო დოკუმენტაცია) მომზადების შესყიდვასთან დაკავშირებულ კონკურსში, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს: ინფორმაცია იმის, შესახებ რომ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 2 მარტის №38 ბრძანებით დამტკიცდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვასთან დაკავშირებული საკონკურსო დოკუმენტაცია (საკონკურსო განცხადება, კონკურსის პირობები, შეფასების კრიტერიუმი და სხვა).

საკონკურსო დოკუმენტაცია (საკონკურსო განცხადება, კონკურსის პირობები, შეფასების კრიტერიუმი და სხვა) გამოქვეყნდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

საკონკურსო განცხადების (N 7) შესაბამისად, 2011 წლის 21 მარტის 12 საათამდე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა შპს სპექტრმა.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას გააჩნია შემდეგი ტექნიკური ხარვეზი:

1. კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დოკუმენტში (სს ლიბერთი ბანკის 2011 წლის 17 მარტის N 5017697100 საგადახდო დავალება) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად უნდა იყოს მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, ხოლო სხვა ინფორმაცია სწორად არის მითითებული;

2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული 2011 წლის 16 მარტის ცნობა „ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ", რომლის მიხედვითაც შპს სპექტრს ბიუჯეტის მიმართ გააჩნია სალდირებული დავალიანება 3410, 48 ლარი, ამასთანავე, კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს ზემოხსენებული დავალიანების გადახდის დოკუმენტი (სს ლიბერთი ბანკის 2011 წლის 19 მარტის N 5017865009 საგადახდო დავალება).

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას უნდა მოხდეს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;

ამდენად, კონკურსანტმა უნდა დააზუსტოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ: წარმოადგინოს კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის კორექტირებული

დოკუმენტი (სს ლიბერთი ბანკის 2011 წლის 17 მარტის N 5017697100, საგადახდო დავალება), რომლის მიხედვით საგადახდო დავალებაში დამატებით მითითებული იქნება შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი. ამასთანავე, კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ბიუჯეტის მიმართ შპს სპექტრის საგადასახადო დავალიანების არ არსებობის შესახებ (დასაშვებია სალდირებული ზედმეტობა).

კონკურსანტის შპს სპექტრის მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაცია აკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ დამტკიცებულ საკონკურსო მოთხოვნებს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად, დაადგინეს:

1.კონკურსანტმა შპს სპექტრმა 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის კორექტირებული დოკუმენტი (სს ლიბერთი ბანკის 2011 წლის 17 მარტის N 5017697100, საგადახდო დავალება), რომლის მიხედვით საგადახდო დავალებაში დამატებით მითითებული იქნება შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი. ამასთანავე, კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ბიუჯეტის მიმართ შპს სპექტრის საგადასახადო დავალიანების არ არსებობის შესახებ (დასაშვებია სალდირებული ზედმეტობა).

2. კონკურსანტს ეცნობოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება.

კომისიის თავმჯდომარე დათო ხომერიკი

კომისიის წევრები:

ირაკლი ნაჭყებია

ბერდია ბუსქანძე

თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N 2

(საპროექტო მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქ ფოთი 23 მარტი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის მოადგილე დათო ხომერიკი -სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ირაკლი ნაჭყებია-კომისიის წევრი;
3. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის თანაშემწე ბერდია ბუსქანძე-კომისიის წევრი;

მოწვეული სპეციალისტები: თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოადგილე ნუგზარ ტულუში, არქიტექტურის განყოფილების უფროსი ლევან როგავა, სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი ვახტანგ მენაბდე.

დღის წესრიგი:

1. ქ. ფოთში აკაკის ქ. N108-ში; N110-ში; N110ა-ში, ჭყონდიდელის ქ. N14-ში; N16-ში და ქორქიას ქ. N34-ში, ბერდიანსკის ქ. N30-ში, პუშკინის ქ. N72-ში, დანელის ქ. N69-ში, 9 აპრილის ქ. N17 და N19-ში, 9 აპრილის ქ. N23-ში; N25-ში; N27-ში, მიქაბერიძის ქ. N1-ში, ლიეპაიას ქ. N8-ში, მიქაბერიძის ქ. N6; N4-ში, 9აპრილის ქ. N29-ში; N31-ში; N33-ში, 9 აპრილის ქ. N18-ში, N20-ში, გეგიძის ქ. N5-ში; N7-ში, 9 აპრილის ქ. N28-ში; N30-ში, გეგიძის ქ. N15-ში, ჭავაჭავაძის ქ. N138-ში; N140-შ; N142-ში; N144-ში; N148-ში; N150-ში; N152-ში; N156-ში N158-ში, ელადას ქ. N8-ში; N8ა-ში, სევასტოპოლის (ყოფილი ლენინგრადის) ქ. N2-ში, N4-ში; N6-ში, სამეგრელოს ქუჩიდან ელადას ქუჩამდე N26-ში და N28-ში, გელა ჯიქიას (ყოფილი სარსანიას მე-2 ჩიხი) ქ. N7-ში და N9-ში, შავი ზღვის ქ. N2-ში, სარსანიას ქ. N34-ში; N36-ში, რუსთაველის რკალი N12-ში, ბარათაშვილის ქ. N25-ში; ზამბახიძის ქ. N26-ში; N28-ში, გამსახურდიას ქ. N16-ში, კოსტავას ქ. N4-ში; N6-ში; N8-ში, მალთაყვის მასივში (გურიის ქ. N177-ში; N179-ში; N181-ში, N187-ში; N189-ში, გურიის ქ. N59-ში,მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის

(შემდგომში ტექსტში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია) მომზადების შესყიდვასთან დაკავშირებულ კონკურსში, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს: ინფორმაცია იმის, შესახებ რომ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკონკურსო კომისიის 2011 წლის 21 მარტის №1 ოქმის შესაბამისად კონკურსანტმა შპს სპექტრმა, წარმოადგინა დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტაცია (შპს "სპექტრი"-ს 2011 წლის 23 მარტის №10 წერილი), კერძოდ:

კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის კორექტირებული დოკუმენტი (სს ლიბერთი ბანკის 2011 წლის 21 მარტის N 5017697100, საგადახდო დავალება), რომლის მიხედვით საგადახდო დავალებაში დამატებით მითითებული არის შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი(იხილეთ სს ლიბერთი ბანკის 2011 წლის 21 მარტის N 3317 ცნობა). ამასთანავე, კონკურსანტმა წარმოადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ბიუჯეტის მიმართ შპს სპექტრის საგადასახადო დავალიანების არ არსებობის შესახებ (იხილეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 23 მარტის ცნობა).

მოისმინეს მოწვეული სპეციალისტების თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოადგილის ნუგზარ ტუღუშის, არქიტექტურის განყოფილების უფროსის ლევან როგავას, სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსის ვახტანგ მენაბდეს მოსაზრება კონკურსანტის შპს სპექტრის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებასთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. მოწვეულმა სპეციალისტებმა დადებითად შეაფასეს საკონკურსო წინადადება და თანდართული დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაადგინა:

1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვასთან დაკავშირებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს კონკურსანტი შპს სპექტრი, რომელიც ზემოხსენებულ მომსახურებას საკონკურსო წინადადების შესაბამისად შემსყიდველს გაუწევს 31000 ლარად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების და ხარჯების ჩათვლით.
2. კონკურსანტს ეცნობოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად. კონკურსში გამარჯვებული შპს სპექტრი ვალდებულია 3 დღის ვადაში წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ბანკის მიერ ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული) ხელშეკრულების საერთო თანხის 2%-ის ოდენობით, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას და გამოცხადდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დასადებად (მისამართი: თვითმმართველი ქალაქ ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა №12, მე-4 სართული, თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური).
4. კონკურსანტს ეცნობოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება.

კომისიის თავმჯდომარე — დათო ხომერიკი

კომისიის წევრები:

ირაკლი ნაჭყებია

ბერდია ბუსქანძე